


ფურცელი 1 საქლესის ფოტოქრონიკის გამოშვება 1964 წელი






ამ დღეს, ამ გამარჯვებას დიდხანს ელოდნენ. თითქმის იმდენ ხანს, რამდენსაც თბილისის დინამოელები მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ჩემპიონატებში.

ქართველმა ფეხბურთელებმა ჩინებულად ითამაშეს 1964 წლის სეზონში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, და საბჭოთა ფეხბურთის უმაღლესი ჯილდოების—ოქროს მედლების ლაურეატები გახდნენ. ოქროს მედლები მიიღეს შოთა იამანიძემ, სერგო კოტრიკაძემ, ბორის სიჭინავამ, ვახტანგ რეხვიაშვილმა, ჯემალ ზეინკლიშვილმა, გურამ ცხოვრებოვმა, გიორგი სიჭინავამ, ილია დათუნაშვილმა, ვლადიმერ ბარქაიამ, სლავა მეტრეველმა, მიხეილ მესხმა, გურამ პეტრიაშვილმა და ალექსანდრე აფშევმა.

ქართველ ფეხბურთელთა ამ თვალსაჩინო გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვით კოლექტივის ხელმძღვანელებს—უფროს მწვრთნელს გაბრიელ კაჩალინს, გუნდის უფროსს ავთანდილ ლოლობერიძეს და მწვრთნელს ალექსანდრე კოტრიკაძეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# გაბრიელ დიმიტრის ძე კაჩალინი

*სპორტის დამსახურებული ოსტატი. სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი*



გ. დ. კაჩალინის სახელთან დაკავშირებულია ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებანი, რომლებიც საბჭოთა ფეხბურთელებმა მოიპოვეს ომისშემდგომ წლებში. მისი ხელმძღვანელობით სსრ კავშირის ნაკრები გახდა ევროპის თასისა და მელბურნის ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონის ოქროს მედლების მფლობელი. კაჩალინის სახელთან დაკავშირებულია ქართველ ფეხბურთელთა ყველაზე შესანიშნავი გამარჯვება—საბჭოთა კავშირის 1964 წლის ჩემპიონობის მოპოვება.

გამოცდილმა სპეციალისტმა, ფეხბურთის შესანიშნავმა თეორეტიკოსმა და პრაქტიკოსმა, გულისხმიერმა პედაგოგმა გ. დ. კაჩალინმა შეძლო სრული ძალით გამოევლინებინა თბილისის „დინამოს“ თითოეული ფეხბურთელის და, საერთოდ, მთელი გუნდის, შესაძლებლობა, მოთამაშეებისათვის შთაენერგა საკუთარი ძალებისადმი რწმენა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავთანდილ ნიკოლოზის ძე ღოღობერიძე

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი



საბჭოთა სპორტის ვეტერანმა, ერთ-ერთმა პოპულარულმა ფეხბურთელმა მთელი თავისი თითქმის მეოთხედი საუკუნის სპორტული კარიერა დაუკავშირა თბილისის „დინამოს“ კოლექტივს. რომელშიც 1944 წლიდან გამოდიოდა. 1951 წლიდან 1961 წლამდე გუნდის უცვლელი კაპიტანი იყო, შემდეგ გახდა მწვრთნელი, ბოლოს — გუნდის უფროსი.







თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში სსრ კავშირის ჩემპიონატებში 341-ჯერ ითამაშა და მოწინააღმდეგის კარში 126 ბურთი გაიტანა.

მონაწილეობა მიიღო 84 საერთაშორისო შეხვედრაში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალექსანდრე პარმენის ძე კოტრიკაძე

სპორტის ოსტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი



თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ კოტრიკაძე—თავმდაბალი, წესიერი, ტექნიკური და... უნივერსალური ფეხბურთელი. ყველგან. სადაც კი იგი თამაშობდა, იქნებოდა ეს თავდაცვაში, ნახევარდაცვასა თუ დაცვაში, ალექსანდრე კოტრიკაძე გვიჩვენებდა მაღალი კლასის ფეხბურთს.

ასეთივე დარჩა იგი როგორც მწვრთნელი. დაკვირვებულ და შრომისმოყვარე ახალგაზრდა პედაგოგს ბევრი რამ აქვს საამაყო—მისი აღსაზრდელები უძლიერესნი აღმოჩნდნენ ძნელ ტურნირში და პირველი ადგილი დაიკავეს დუბლიორთა შორის.





ეროვნული ბიბლიოთეკა





## შოთა იამანიძე

სპორტის ოსტატი






ათი წლის წინათ 35-ე საშუალო სკოლის გუნდიდან თბილისის „დინამოში" გადმოიყვანეს 17 წლის შოთა იამანიძე. გუნდის კაპიტანმა 1964 წლის ჩემპიონატის ძირითად შემადგენლობაში 29-ჯერ ითამაშა და დაჯილდოებულია ოქროს მედლით. სულ კი 10 წლის მანძილზე სსრ კავშირის პირველობაზე მონაწილეობა მიიღო 225 მატჩში და გაიტანა 56 ბურთი.

შედიოდა სსრ კავშირის ნაკრები გუნდისა და სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის შემადგენლობაში. მონაწილეობდა ათობით საერთაშორისო მატჩში.

შოთა იამანიძე საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტია.





# სერგო კოტრიკაძე

*სპორტის ოსტატი*




თბილისის დინამოელთა მეკარეს 12 წლის საფეხბურთო სტაჟი აქვს. 35-ე საშუალო სკოლის აღზრდილი რვა წელია იცავს საქართველოს საუკეთესო გუნდის კარს. 1964 წლის ჩემპიონატში ძირითად შემადგენლობაში 22-ჯერ ითამაშა და დაჯილდოებულია ოქროს მედლით.

1962 წელს აღიარებულ იქნა საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეკარედ. ბევრჯერ შედიოდა „წლის 33 საუკეთესო ფეხბურთელის" სიაში, თამაშობდა სსრ კავშირის პირველ და ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებში, მონაწილეობდა საერთაშორისო შეხვედრებში 25 ქვეყნის ფეხბურთელებთან.

ს. კოტრიკაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი.






ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის თამაში 13 წლის წინათ დაიწყო ზუგდიდში. 1958 წლიდან თბილისის „დინამოს" მარჯვენა მცველია.

განსაკუთრებით წარმატებით თამაშობდა 1964 წლის სეზონში. სულ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის მატჩებში 30-ჯერ ითამაშა და დაჯილდოებულია ოქროს მედლით. შედის საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

ბევრი საერთაშორისო მატჩის მონაწილეა.

ბ. სიჭინავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია.



# ბორის სიჭინავა

სპორტის ოსტატი








საქდესის ფოტოქრონიკა



# ვახტანგ რეხვიაშვილი

### სპორტის ოსტატი




ვახტანგ რეხვიაშვილი ოქროს მედლის მფლობელთა შორის ყველაზე ახალგაზრდაა. იგი 20 წლისაა. მარტო ერთი სეზონის განმავლობაში მან არნახული ნახტომი გააკეთა დუბლ შემადგენლობიდან სსრ კავშირის მეორე ნაკრები გუნდის წევრამდე.

წარმატებითი იყო თბილისის № 2 სკოლა-ინტერნატის აღზრდილის ვ. რეხვიაშვილის დებიუტი. იგი მტკიცედ დამკვიდრდა თბილისის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში. 1964 წლის პირველობაზე მონაწილეობა მიიღო 13 შეხვედრაში. სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები და სსრ კავშირის მეორე ნაკრები გუნდების შემადგენლობაში ითამაშა ორი საერთაშორისო მატჩი.

რეხვიაშვილი გუნდში ერთადერთი მოთამაშეა. რომელმაც მიიღო ორი ოქროს ჯილდო—ჩემპიონის მედალი და დუბლშემადგენლობის გამარჯვებულის ქეტონი.







საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ჯემალ ზეინკლიშვილი

სპორტის ოსტატი






ფეხბურთის თამაში დაიწყო 1954 წლიდან ბორჯომში. შემდეგ თამაშობდა თბილისის „ქარიშხალაში", ხოლო 1959 წლიდან თამაშობს თბილისის „დინამოში" თამაშობდა შუამარბად, ნახევარმცველად, მცველად. ბოლო დროს შესანიშნავად გამოდის ცენტრალური დამცველის როლში.

1964 წლის ჩემპიონატში თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში 32-ჯერ ითამაშა და დაჯილდოებულია ოქროს მედლით. მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო შეხვედრებში რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, საფრანგეთის, ავსტრიის, ირანის, ეკვადორის, კუბის, ბოლივიისა და სხვა ქვეყნების ფეხბურთელებთან.

ზეინკლიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტია.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გურამ ცხოვრებოვი

სპორტის ოსტატი








ფეხბურთის თამაში თერთმეტი წლის წინათ დაიწყო მშობლიურ ქალაქ ცხინვალში. უნარიანმა ახალგაზრდა დამცველმა სწრაფად მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება და ჩარიცხულ იქნა თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობაში. 1961—1963 წლებში თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში". 1964 წლიდან კვლავ თბილისის „დინამოშია". ჩვენი ქვეყნის XXVI ჩემპიონატში 32-ჯერ ითამაშა და დაჯილდოებულია ოქროს მედლით.

მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო შეხვედრებში შვეციის, ბულგარეთის, პოლონეთის, ირანისა და დანიის გუნდებთან.

ცხოვრებოვი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტია.





საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გიორგი სიჭინავა

**სპორტის ოსტატი**





სამი წლის წინათ 17 წლის ჭაბუკი გაგრის სპორტული სკოლიდან ჩარიცხეს თბილისის „დინამოს" გუნდში. სსრ კავშირის 1964 წლის პირველობაზე ითამაშა ოცდაცამეტივე მატჩი. დაჯილდოებულია ოქროს მედლით. გამოდიოდა საბჭოთა კავშირის მეორე და პირველი ნაკრები გუნდების შემადგენლობაში. 1964 წლის შემოდგომაზე სსრ კავშირის პირველი ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ითამაშა იუგოსლავიისა და ბულგარეთის ეროვნული ნაკრები გუნდების წინააღმდეგ.

თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღო უნგრეთის, პოლონეთის, დანიის, კუბის, ბოლივიის. ეკვადორისა და ბევრი სხვა ქვეყნების გუნდებთან საერთაშორისო მატჩებში.

სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე.






საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ილია დათუნაშვილი

### სპორტის ოსტატი




ილია დათუნაშვილს ათი წლის სპორტული სტაჟი აქვს. 1954 წლიდან 1957 წლამდე თამაშობდა ლანჩხუთის „კოლმეურნეში", შემდეგ ორი სეზონი ითამაშა ქუთაისის „ტორპედოს" შემადგენლობაში, ხოლო 1959 წელს მიღებულ იქნა თბილისის „დინამოში". განსაკუთრებით წარმატებით ითამაშა 1964 წელს. მან 10 ბურთი გაიტანა და გუნდის საუკეთესო ბომბარდირთა რიცხვში ჩადგა. დაჯილდოებულია ოქროს მედლით.

ილია დათუნაშვილი მონაწილეა საერთაშორისო შეხვედრებისა ფინეთის, ბულგარეთის, კუბის, ბოლივიის, ეკვადორის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების გუნდებთან.






ვლადიმერ ბარქაია, გაგრის საბავშვო სპორტული სკოლის აღზრდილი, 1957 წელს მიღებულ იქნა თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდში. ამ წლების მანძილზე იგი გაიზარდა როგორც გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი. იერიშების ორგანიზატორი და ზუსტი ბომბარდირი. 1964 წლის სსრ კავშირის ჩემპიონატში 32-ჯერ ითამაშა, გაიტანა 9 ბურთი. დაჯილდოებულია ოქროს მედლით.





# ვლადიმერ ბარქაია

სპორტის ოსტატი





თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო შეხვედრებში ინგლისის, ჩეხოსლოვაკიის, ბრაზილიის, ბულგარეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ირანის, თურქეთის, ბელგიის, ეკვადორის, ბოლივიის, კუბის და სხვა ქვეყნების გუნდებთან.

ბარქაია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია.

საქდესის ფოტოქრონიკა




# სლავა მეტრეველი

### სპორტის დამსახურებული ოსტატი

საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი. თამაშობდა გორკის „ტორპედოში", შემდეგ კი მოსკოვის „ტორპედოს" შემადგენლობაში. 1963 წლიდან თამაშობს თბილისის „დინამოში".

მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის 1964 წლის ჩემპიონატის ოცდაცამეტივე შეხვედრაში, გაიტანა 11 ბურთი. დაჯილდოებულია ოქროს მედლით.

ს. მეტრეველი ევროპის თასის (1962 წელი) მფლობელია, მონაწილეობდა ჩილის (1962 წელი) მსოფლიო ჩემპიონატში. ბევრჯერ შედიოდა ჩვენი ქვეყნის 33 უძლიერესი ფეხბურთელის რიცხვში.





იმ სხვა ფეხბურთელებთან ერთად, რომლებმაც სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ითამაშეს 25 და მეტი მატჩი, დაჯილდოებულია სამახსოვრო ოქროს მედლით.

მეტრეველი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტია.





# მიხეილ მესხი

### სპორტის დამსახურებული ოსტატი




ბევრ სხვა ფეხბურთელთან ერთად, სპორტული განათლება 35-ე საშუალო სკოლაში მიიღო. 1955 წელს, ჯერ კიდევ ამ სკოლის მოსწავლე იყო, როდესაც თბილისის „დინამოში" მიიღეს. სწრაფად მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება, ბევრჯერ იყო დასახელებული ჩვენი ფეხბურთის საუკეთესო მარცხენა გარემარბად შედიოდა „33 უძლიერესთა" სიაში. სსრ კავშირის 1964 წლის ჩემპიონატში ითამაშა 24 მატჩი და 6 ბურთი გაიტანა. დაჯილდოებულია ოქროს მედლით. მიხეილ მესხი ევროპის თასის (1961 წელი) მფლობელია, ჩილის (1962 წელი) მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეა.





სახელგანთქმული საბჭოთა ფეხბურთელი, რომელმაც სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში 25 და მეტი მატჩი ითამაშა, დაჯილდოებულია სამახსოვრო ოქროს მედლით.

მესხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტია.





საქპრესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ალექსანდრე აფშევი

სპორტის ოსტატი




ძალზე წარმატებითი აღმოჩნდა ამ ახალგაზრდა ფეხბურთელის დებიუტი თბილისის „დინამოში“ — აფშევს მიენიჭა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება და გადაეცა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი.

ფეხბურთის თამაში შვიდი წლის წინათ დაიწყო ნალჩიკში, ადგილობრივ „სპარტაკში“. ორი სეზონი (1961—1962 წ.წ.) თამაშობდა მოსკოვის „დინამოში“, შემდეგ ნალჩიკში დაბრუნდა, ხოლო 1964 წლის გაზაფხულზე მიღებულ იქნა თბილისის „დინამოში“. ძირითად შემადგენლობაში 18-ჯერ ითამაშა.

აფშევი შვიდი საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეა.





საქდესის ფოტოქრონიკა



# გურამ პეტრიაშვილი

სპორტის ოსტატი



მისი სპორტული სტაჟი სულ ხუთი წლით განისაზღვრება. ორი პირველი წელი თამაშობდა ზესტაფონის გუნდში, სამ მომდევნო წელს — თბილისის „დინამოში". სწრაფად დაწინაურდა ძირითად შემადგენლობაში. გუნდში თამაშობს ნახევარმცველად და მცველად.

სსრ კავშირის 1964 წლის ჩემპიონატში ითამაშა 21 მატჩი და დაჯილდოებულია ოქროს მედლით.

შედიოდა სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდში.

პეტრიაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტია.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნოდარ ლექავა

*სპორტის ოსტატი*

თბილისის 35-ე საშუალო სკოლის აღზრდილია. თამაშობდა „ნორჩ დინამოელში", შემდეგ „ბ" კლასის გუნდებში (ნალჩიკსა და არმავირში). 1962 წლიდან თბილისის „დინამოშია". 1964 წლის სეზონში ძირითად შემადგენლობაში ითამაშა ათი მატჩი.

მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო შეხვედრებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, დანიისა და პოლონეთის ფეხბურთელებთან.

სწავლობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე.



ჩვიდმეტი წლის იყო, როცა ფეხბურთის სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო. თამაშობდა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებ გუნდში. შემდეგ გადაყვანილ იქნა თბილისის „დინამოში". თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში თამაშობს 1961 წლიდან. გუნდის ძირითად შემადგენლობაში მტკიცეთ დაიკავა ერთ-ერთი ცენტრალური მცველის ადგილი, 1964 წლის სეზონში ავადმყოფობის გამო მხოლოდ ჩემპიონატის 8 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

შედიოდა სსრ კავშირის მეორე და ოლიმპიური ნაკრები გუნდების შემადენგენლობაში. ბევრი საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეა.

ხურცილავა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტია.

# მურთაზ ხურცილავა

*სპორტის ოსტატი*

ეროვნული ბიბლიოთეკა






1964 წლის 18 ნოემბერი...

ამ დღეს უზბეკეთის დედაქალაქი ტაშკენტი-ჩვენი ფეხბურთის დედაქალაქად გადაიქცა. აქ, „პახტაკორის" სტადიონზე, 1964 წლის სსრ კავშირის ჩემპიონის გამოსავლინებლად თბილისის დინამოელებსა და მოსკოვის ტორპედოელებს შორის დაინიშნა დამატებითი მატჩი.

მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე სტადიონი მაყურებლებით გაივსო. ფეხბურთის მოყვარულები ტრიბუნებზე მოვიდნენ ტრანსპარანტებით. სწორედ ერთ-ერთი ტრანსპარანტი აღბეჭდილია ამ სურათზე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა







ტაშკენტის მატჩი, თუმცა ჩემპიონატის ფარგლებში მიმდინარეობდა, იყო ნამდვილი სათასო შეხვედრა როგორც თავისი დაძაბულობით, ისე ხასიათით: მხოლოდ გამარჯვებით შეიძლებოდა ოქროს მედლის მოპოვება.

ძირითადმა დრომ ვერ გამოავლინა გამარჯვებული: თითოეულმა გუნდმა თითო-თითო ბურთი გაიტანა. მხოლოდ დამატებით დროში ცხადი გახდა თბილისის დინამოელთა უპირატესობა, რომლებმაც სამი „მშრალი“ ბურთი გაიტანეს. ეს დიდმნიშვნელოვანი მატჩი მოიგო თბილისის „დინამომ“ ანგარიშით 4:1.



გამარჯვება მოპოვებულია!

ეს კადრები გადაღებულია რამდენიმე წუთის შემდეგ, რაც გაისმა მატჩის მსაჯის მ. რუბენისის ფინალური სასტვენის ხმა. მოპოვებულია გამარჯვება, რისთვისაც მეოთხედი საუკუნის მანძილზე იბრძოდა ქართველ ფეხბურთელთა სამი თაობა. თბილისელები ოთხჯერ ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკის ვერცხლის საფეხურზე, ექვსჯერ—ბრინჯაოს საფეხურზე. და აი, 1964 წლის შემოდგომაზე თბილისელმა დინამოელებმა დაიპყრეს უმაღლესი საფეხური—ოქროს მწვერვალი.











გულთბილი, საზეიმო შეხვედრა მოუწყეს გამარჯვებულებს თანამემამულეებმა, რომლებიც თბილისის სპორტის სასახლეში შეიკრიბნენ. მისალმებათა გულთბილი სიტყვები, ლექსები, ყვავილები, სამახსოვრო საჩუქრები—ამ საღამოს ყველაფერი საბჭოთა ფეხბურთის ჩემპიონებს ეკუთვნოდათ.

„ოქროს ბიჭების" მოსალოცად აქ მოვიდნენ რესპუბლიკის ნარჩინებული ადამიანები, მათთან ერთად საქართველოს სტუმრები—გმირი კოსმონავტები გერმანე ტიტოვი და ვალერი ბიკოვსკი.







ეროვნული ბიბლიოთეკა

# წლები და შედეგები






საქდესის ფოტოქრონიკა